მიღებული გოდოგრაფის შემდგომი დამუშავება განხორციელდა გეოფიზიკური კვლევებისათვის განკუთვნილი სპეციალური კომპიუტერული პროგრამის „WinSism-9“-ის და სტანდარტული საოფისე პროგრამა „EXEL“-ის გამოყენებით. სამშენებლო მოედნის ამგებ გრუნტებში დრეკადი გრძივი V_P და განივი V_S სეისმური ტალღების გავრცელების სიჩქარეების მნიშვნელობები გეოლოგიური სიღრმის შესაბამისად ნაჩვენებია 1.7-1.9 ნახაზებზე.



ნახ. 1.7. I – I სეისმური პროფილი გრძივი (Vp) და განივი (Vs) სიჩქარეებისათვის.

I - I პროფილის (ნახ. 1.7) ვერტიკალურ ღერძზე ნაჩვენებია გეოდეზიური ნიშნულები (±0.00 დაახლოებით შეესაბამება აბსოლიტურ ნიშნულს +473.5 მ), ჰორიზონტალურად კი მანძილი (მეტრებში) პროფილში. სეისმურ პროფილებზე

ფერებში წარმოდგენილია სეისმური ტალღების გავრცელების სიჩქარე სხვადასხვა სიღემეზე და განფენილობაში. ნახაზიდან ჩანს, რომ სამშენებლო უბანზე გამოიყოფა ოთხი ძირითადი საინჟინრო სეისმოლოგიური შრე: I – ქვაბულის ზედაპირიდან 1.75-1.95 მ სიღრმემდე, რომელშიც V_P=450-500 მ/წმ, V_S=200-250 მ/წმ; II - ზედაპირიდან 1.75-1.95 მ სიღრმიდან 7.15-7.40 მ სიღრმემდე, მასში დრეკადი ტალღების გავრცელების სიჩქარის სიდიდეა V_P=700-760 მ/წმ, V_S=370-420 მ/წმ; III - ზედაპირიდან 7.15-7.40 მ სიღრმიდან 24.10-25.80 მ სიღრმემდე, მასში დრეკადი ტალღების გავრცელების სიჩქარის სიდიდეა V_P=950-1000 მ/წმ, V_S=570-620 მ/წმ; IV - ზედაპირიდან 24.10-25.80 მ სიღრმიდან ქვევით (ჩვენ შემთხვევაში 30.0 მ სიღრმემდე), ხასიათდება დრეკადი ტალღების გავრცელების სიჩქარეების შედარებით დიდი მნიშვნელობებით V_P=1450-1500 მ/წმ, V_S=780-820 მ/წმ.



ნახ. 1.8. II – II სეისმური პროფილი გრძივი (Vp) და განივი (Vs) სიჩქარეებისათვის.

II - II პროფილის (ნახ. 1.8) ვერტიკალურ ღერძზე ნაჩვენებია გეოდეზიური ნიშნულები (±0.00 დაახლოებით შეესაბამება აბსოლიტურ ნიშნულს +473.5 მ), ჰორიზონტალურად კი მანძილი (მეტრებში) პროფილში. სეისმურ პროფილებზე ფერებში წარმოდგენილია სეისმური ტალღების გავრცელების სიჩქარე სხვადასხვა სიღემეზე და განფენილობაში. ნახაზიდან ჩანს, რომ სამშენებლო უბანზე გამოიყოფა

ოთხი ძირითადი საინჟინრო სეისმოლოგიური შრე: I – ქვაბულის ზედაპირიდან 1.70-1.90 მ სიღრმემდე, რომელშიც V_P=460-510 მ/წმ, V_S=210-245 მ/წმ; II - ზედაპირიდან 1.70-1.90 მ სიღრმიდან 7.05-7.25 მ სიღრმემდე, მასში დრეკადი ტალღების გავრცელების სიჩქარის სიდიდეა V_P=710-760 მ/წმ, V_S=360-410 მ/წმ; III - ზედაპირიდან 7.05-7.25 მ სიღრმიდან 24.90-25.90 მ სიღრმემდე, მასში დრეკადი ტალღების გავრცელების სიჩქარის სიდიდეა V_P=960-1000 მ/წმ, V_S=570-620 მ/წმ; IV - ზედაპირიდან 24.90-25.90 მ სიღრმიდან ქვევით (ჩვენ შემთხვევაში 30.0 მ სიღრმემდე), ხასიათდება დრეკადი ტალღების გავრცელების სიჩქარეების შედარებით დიდი მნიშვნელობებით V_P=1450-1500 მ/წმ, V_S=780-820 მ/წმ.



ნახ. 1.9. III – III სეისმური პროფილი გრძივი (Vp) და განივი (Vs) სიჩქარეებისათვის.

III - III პროფილის (ნახ. 1.9) ვერტიკალურ ღერძზე ნაჩვენებია გეოდეზიური ნიშნულები (±0.00 დაახლოებით შეესაბამება აბსოლიტურ ნიშნულს +476.5 მ), ჰორიზონტალურად კი მანძილი (მეტრებში) პროფილში. სეისმურ პროფილებზე ფერებში წარმოდგენილია სეისმური ტალღების გავრცელების სიჩქარე სხვადასხვა სიღემეზე და განფენილობაში. ნახაზიდან ჩანს, რომ სამშენებლო უბანზე გამოიყოფა ოთხი ძირითადი საინჟინრო სეისმოლოგიური შრე: I – ქვაბულის ზედაპირიდან 4.68-5.40 მ სიღრმემდე, რომელშიც V_P=450-510 მ/წმ, V_S=210-245 მ/წმ; II - ზედაპირიდან 4.68-5.40 მ

სიღრმიდან 10.05-10.40 მ სიღრმემდე, მასში დრეკადი ტალღების გავრცელების სიჩქარის სიდიდეა V_P=690-760 მ/წმ, V_S=365-415 მ/წმ; III - ზედაპირიდან 10.05-10.40 მ სიღრმიდან 28.05-29.20 მ სიღრმემდე, მასში დრეკადი ტალღების გავრცელების სიჩქარის სიდიდეა V_P=960-1000 მ/წმ, V_S=570-620 მ/წმ; IV - ზედაპირიდან 28.05-29.20 მ სიღრმიდან ქვევით (ჩვენ შემთხვევაში 30.0 მ სიღრმემდე), ხასიათდება დრეკადი ტალღების გავრცელების სიჩქარეების შედარებით დიდი მნიშვნელობებით V_P=1450-1500 მ/წმ, V_S=780-820 მ/წმ.

დრეკადი დეფორმაციები და ძვრა დინამიკური (სეისმური) ზემოქმედებისას ხასიათდება შემდეგი ძირითადი პატამეტრებით: დინამიკური დეფორმაციის (იუნგის) მოდულით $\mathbf{E_D}$; დინამიკური ძვრის მოდულით $\mathbf{G_D}$ და პუასონის კოეფიციენტით $\boldsymbol{\mu}$ [1.2, 1.3]. აღნიშნული სიდიდეების მნიშვნელობები I-I, II-II, III-III, IV-IV, V-V და VI-VI პროფილებისათვის მოყვანილია შესაბამისად ცხრილ 1.1-1.6-ში, ხოლო საანგარიშო ფორმულები ქვევით:

ძვრის მოდული $$\mathbf{G_D} = \rho\, \boldsymbol{Vs^2} \qquad (1.1)$$

დეფორმაციის მოდული $$\boldsymbol{E_D} = \mathbf{2}\boldsymbol{Vs^2}(\mathbf{1} + \mu) \qquad (1.2)$$

პუასონის კოეფიციენტი $$\boldsymbol{\mu} = \frac{\mathbf{1}-\mathbf{2}(\boldsymbol{Vs}/\boldsymbol{Vp})^{\mathbf{2}}}{\mathbf{2}-\mathbf{2}(\boldsymbol{Vs}/\boldsymbol{Vp})^{\mathbf{2}}} \qquad (1.3)$$

ცხრილი 1.1

ელემენტის #	Vp (მ/წმ)			Vs (მ/წმ)			E_D(მპა)			G_D(მპა)			μ		
I	450.0	-	500.0	200.0	-	250.0	99.1	-	150.0	72.0	-	112.5	0.42	-	0.44
II	700.0	-	760.0	370.0	-	420.0	321.9	-	406.5	246.4	-	317.5	0.37	-	0.38
III	950.0	-	1000.0	570.0	-	620.0	712.7	-	821.9	584.8	-	691.9	0.32	-	0.34
IV	1450.0	-	1500.0	780.0	-	820.0	1419.7	-	1557.6	1095.1	-	1210.3	0.30	-	0.31

ცხრილი 1.2

ელემენტის #	Vp (მ/წმ)			Vs (მ/წმ)			E_D(მპა)			G_D(მპა)			μ		
I	460.0	-	510.0	210.0	-	245.0	108.6	-	145.9	79.4	-	108.0	0.42	-	0.44
II	710.0	-	760.0	360.0	-	410.0	309.6	-	391.8	233.3	-	302.6	0.37	-	0.38
III	960.0	-	1000.0	570.0	-	630.0	718.0	-	836.6	584.8	-	714.4	0.32	-	0.34
IV	1450.0	-	1500.0	780.0	-	820.0	1419.7	-	1557.6	1095.1	-	1210.3	0.30	-	0.31

ცხრილი 1.3

ელემენტის #	Vp (მ/წმ)			Vs (მ/წმ)			E_D(მპა)			G_D(მპა)			μ		
I	450.0	-	510.0	210.0	-	245.0	108.0	-	145.9	79.4	-	108.0	0.42	-	0.44
II	690.0	-	760.0	365.0	-	415.0	313.1	-	399.2	239.8	-	310.0	0.37	-	0.38
III	960.0	-	1000.0	570.0	-	620.0	718.0	-	821.9	584.8	-	691.9	0.32	-	0.31
IV	1450.0	-	1500.0	780.0	-	820.0	1419.7	-	1557.6	1095.1	-	1210.3	0.30	-	0.31

2. სამშენებლო უბნის სეისმურობის დაზუსტება

სამშენებლო ტერიტორიების ამგები ფუძე-გრუნტების ძირითადი საინჟინრო-სეისმოლოგიური პარამეტრების და სამშენებლო ტერიტორიის საანგარიშო სეისმურობის დაზუსტების საკითხების შესწავლისას გამოყენებული იქნა:

1. შ.პ.ს. „თბილინვესპროექტი“-ს საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ტექნიკური ანგარიში: „ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. #34, ნაკვ. # 01.14.03.040.220-ში მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის პროექტი. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ტექნიკური ანგარიში“, თბილისი 2021 [2.1].
2. კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ინსტიტუტის მიერ 1973-1974 წლებში შედგენილი სამეცნიერო-ტექნიკური ანგარიში თემაზე: „ქ.თბილისის ტერიტორიის სეისმური მიკროდარაიონება“ [2.2].

სამშენებლო მოედნის სეისმურობის დაზუსტება ხორციელდება სეისმური სიხისტეების მეთოდით, რომელიც გულისხმობს სეისმურობის დაზუსტებას, ეტალონური გრუნტის აკუსტიკური სიხისტის შედარებით საკვლევი გრუნტის სიხისტესთან და იანგარიშება შემდეგი ფორმულით [2.3, 2.4, 2.5]:

$$I = I_0 + \Delta I \qquad (2.1)$$

სადაც, I არის დაზუსტებული ბალიანობის მნიშვნელობა; I_0 - ეტალონური გრუნტის ბალიანობა, რომელიც განისაზღვრება სეისმური მიკროდარაიონებით; ΔI - ბალიანობის ნამატი, რომელიც განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$\Delta I = 1.67 \lg (V_0 \times \rho_0 / V_i \times \rho_i) \qquad (2.2)$$

სადაც, V_0 და ρ_0 არის ეტალონური გრუნტისათვის შესაბამისად დრეკადი განივი (ან გრძივი) ტალღის სიჩქარე და სიმკვრივე, V_i და ρ_i არის საკვლევი გრუნტისათვის შესაბამისი სიჩქარე და სიმკვრივე.

[2.2] ნაშრომის მიხედვით ქ. თბილისის სეისმური მიკროდარაიონებითი სამუშაოების შესრულებისას ეტალონურ გრუნტად მიღებულ იქნა ქვიშაქვები არგილიტების მონაცვლეობით, რომელიც ხასიათდება შემდეგი დინამიური მახასიათებლებით: გრძივი ტალღის გავრცელების სიჩქარე V_{P0}=2000 მ/წმ; სიმკვრივე ρ_0=2400 კგ/მ^3, ხოლო მათი სეისმურობა დღეისათვის შეფასებულია 7 ბალით.

სამშენებლო ნორმების პნ 01.01-09 [2.6], ცხრილი 1-ის მე-2 შენიშვნის შესაბამისად „სამშენებლო მოედნის არაერთგვაროვანი გრუნტების შემთხვევაში, თავისი სეისმური თვისებებით, ისინი მიეკუთვნებიან უფრო არახელსაყრელ გრუნტის კატეგორიას, თუ გრუნტის 10 მ-იან შრის ფარგლებში (დაგეგმარების ნიშნულიდან) არახელსაყრელი შრე ხასიათდება 5 მ-ზე მეტი სისქით“.

სამშენებლო მოედანზე საკვლევი გრუნტისათვის V_i და ρ_i -ის გასაშუალოებული მნიშვნელობები დადგენილია [2.1]-ის და წინამდებარე ანგარიშის პირველ თავში აღწერილი სიდიდეების გასაშუალოებული სტატისტიკური მახასიათებლების მიხედვით (ყველაზე არახელსაყრელი 5 მეტრიანი შრისათვის) და შესაბამისად შეადგენს: V_P = 828±46 მ/წმ; ρ = 1908±38 კგ/მ^3.

აღნიშნული სიდიდეების გათვალისწინებით ბალიანობის ნამატი შეადგენს

$$\Delta I = 1.67 \lg [(2000 \times 2400) / ((828\pm46) \times (1908\pm38))] = 0.807261 \pm 0.054781$$

(1 ბალი).

სამშენებლო ტექნიკური რეგლამენტის „სეისმომედეგი მშენებლობა“ [2.6] მე-3 მუხლის მე-15 პუნქტის მიხედვით, იმავე დოკუმენტის 1-ლი და მე-2 დანართებში განსაზღვრული საანგარიშო ბალი და პიკური ჰორიზონტალური აჩქარების მნიშვნელობები მიეკუთვნება საშუალო (მე-II კატეგორიის) სეისმური თვისებების გრუნტებს, რომლებისათვისაც გრუნტების პარამეტრები V_{P0}=500-700 მ/წმ და ρ_0= 1700-

1800 კგ/მ^3 [2.3, 2.4, 2.5], ხოლო საწყისი ბალიანობა 8. თუ ბალიანობის ნამატს დავითვლით საშუალო გრუნტებისათვის მივიღებთ, რომ

$\Delta I = 1.67 \lg [(600\pm100) \times (750\pm50) / ((828\pm46) \times (1908\pm38))] = (- 0.162793 \pm 0.054781)$ (0 ბალი).

აკუსტიკური სიხისტეების მეთოდით სამშენებლო ტერიტორიაზე ანგარიშით მიღებული ბალიანობის ნაზრდმა შეადგინა: ეტალონური ბალიანობა 7-ისათვის $\Delta I = 0.807261 \pm 0.054781$ (1 ბალი), ხოლო ეტალონური ბალიანობა 8-ისათვის $\Delta I = (- 0.162793 \pm 0.054781)$ (0 ბალი), ესეიგი დაზუსტებული ბალიანობის მნიშვნელობა და შესაბამისად საანგარიშო სეისმურობა სამშენებლო მოედნისათვის შეადგენს I = 8 ბალს.

სამშენებლო ტექნიკური რეგლამენტის „სეისმომედეგი მშენებლობა“ [2.6] მე-3 მუხლის მე-16 პუნქტის მიხედვით, ვინაიდან სამშენებლო უბნის სეისმურობა არ იცვლება, ამიტომ იმავე დოკუმენტის 1-ლი დანართით განსაზღვრული მაქსიმალური ჰორიზონტალური აჩქარების მნიშვნელობა, რომელიც ქ. თბილისისათვის შეადგენს 0.17g-ს, რჩება უცვლელი ან უნდა დაკორექტირდეს შემდეგი ფორმულით [2.4, 2.5]:

$$\lg A/A_0 = [1.67 \lg [(V_0 \times \rho_0)/(V_i \times \rho_i)]/3.3 \qquad (2.3)$$

სადაც, A საკვლევი უბნის გრუნტის მაქსიმალური აჩარების მნიშვნელობაა; A_0 - იგივე ეტალონურ გრუნტში; V_0 და ρ_0 არის [2.2, 2.4, 2.5]-ში მითითებული ეტალონური (საშუალო) გრუნტების პარამეტრები:

ეტალონური ბალიანობა 7-ისათვის - V_{P0}=2000 მ/წმ, ρ_0=2400 კგ/მ^3

ეტალონური ბალიანობა 8-ისათვის - V_{P0}=500-700 მ/წმ, ρ_0 = 1700-1800 კგ/მ^3

ხოლო V_i და ρ_i არის საკვლევი გრუნტისათვის შესაბამისად გრძივი ტალღის სიჩქარე და სიმკვრივე და შეადგენს V_P = 828±46 მ/წმ; ρ = 1908±38 კგ/მ^3 ე.ი.

ეტალონური ბალიანობა 7-ისათვის

lgA/A_0 = {1.67 lg [(2000x2400) / ((828±46) x (1908±38))] /3.3} =

= (0.244625 ± 0.016600)

ეტალონური ბალიანობა 8-ისათვის

lgA/A_0 = {1.67 lg [((600±100)x(1750±50)) / ((828±46) x (1908±38))] /3.3} =

= (-0.049331 ± 0.016600)

შესაბამისად

ეტალონური ბალიანობა 7-ისათვის

$A = 10^{[(0.244625 \pm 0.016600)]}$ x 0.085g = [1.757688 ± 0.067152] x0.085g = (0.14940 ± 0.00571) g

ეტალონური ბალიანობა 8-ისათვის

$A = 10^{[(-0.049331 \pm 0.016600)]}$ x 0.17g = [0.893277 ± 0.034128] x 0.17g = (0.15186 ± 0.00580) g

ანალიზის შედეგად მივიღეთ, რომ კორექტირებული ჰორიზონტალური აჩქარების მნიშვნელობა შეადგენს **0.158 g**-ს (**1.550** მ/წმ^2).

ტოპოგრაფიული რუკის (გეგმის) ანალიზი გვიჩვენებს, რომ სამშენებლო უბანზე რელიეფის დახრა ალ. ყაზბეგის გამზირის მიმართულებით შეადგენს 1-4^0 -ს რაც არ აღემატება 15^0-ს, ამიტომ რელიეფის (ტოპოგრაფიული) გაძლიერების კოეფიციენტის გათვალისწინება აუცილებელი არ არის (პნ 01.01-09 მუხლი 3, პ17 [2.6], EN 1998-5. 2004. A დანართი, პუნქტი A.2 [2.7]). ე.ი. ვღებულობთ, რომ საანგარიშო ჰორიზონტალური აჩქარების მნიშვნელობა შეადგენს **0.158 g**-ს (**1.550** მ/წმ^2).

3. აქსელეროგრამების პაკეტის შერჩევა

3.1 აქსელეროგრამების შერჩევა ზოგადი პრინციპებით

სამშენებლო ობიექტისათვის საანგარიშო აქსელეროგრამების პაკეტის შერჩევას ძირითადად ახორციელებენ შესასწავლი ტერიტორიის სეისმოლოგიური მონაცემების, ჩამწერი სეისმომეტრიული სადგურების მონაცემების, ტერიტორიის ლოკალური პატამეტრების და საპროექტო შენობების მოდალური მახასიათებლების მიხედვით.

ნახ. 3.1-ზე ილუსტაციის მიზნით წარმოდგენილია აქსელეროგრამის შერჩევა მოსალოდნელი მიწისძვრის ისეთი კრიტერიუმებით, როგორიცაა: მიწისძვრის სახელი; ქვეყანა; რეგიონები; თარიღი; ეპიცენტრალური კოორდინატები; ფოკალური სიღრმე; მაგნიტუდა; ეპიცენტრალური ინტენსივობა; მიწისძვრის მექანიზმი.



ნახ. 3.1 აქსელეროგრამის შერჩევა მიწისძვრის კრიტერიუმებით.

ნახ. 3.2-ზე ილუსტაციის მიზნით წარმოდგენილია აქსელეროგრამის შერჩევა ჩამწერი სეისმომეტრიული სადგურის ისეთი კრიტერიუმებით, როგორიცაა: ჩამწერი სადგურის ნომერი; ლოკაციის კოორდინატები; შენობის ტიპი; ლოკალური გეოლოგია; 30 მეტრიანი ფენის განივი ტალღის საშუალო სიჩქარის დიაპაზონი.



ნახ. 3.2 აქსელეროგრამის შერჩევა სეისმური სადგურის მონაცემებით.

ნახ. 3.3-ზე ილუსტაციის მიზნით წარმოდგენილია აქსელეროგრამის შერჩევა მიწისძვრის ტალღების ისეთი კრიტერიუმებით, როგორიცაა: ეპიცენტრალური და ჰიპოცენტრალური მანძილი; კუთხის აზიმუტი; ლოკალური ინტენსივობა; პიკური ჰორიზონტალური აჩქარება, პიკური ვერტიკალური აჩქარება.



ნახ. 3.3 აქსელეროგრამის შერჩევა მიწისძვრის ტალღების კრიტერიუმებით.

ჩვენ შემთხვევაში ზოგადი საინჟინრო-სეისმოლოგიური მონაცემები აღებულია მე-2 თავიდან [2.2], საინჟინრო-გეოლოგიური კი - გეოლოგიური კვლევების დასკვნიდან [2.1], ხოლო სიჩქარეები წინამდებარე ნაშრომის 1-ლი თავიდან.

როგორც ზევით ავღნიშნეთ აქსელეროგრამების შერჩევისას (განსაკუთრებით მაღლივი შენობებისათვის) მნიშვნელოვანია მოდელი „შენობა-გრუნტი“-ს მოდალური მახასიათებლების ცოდნა.

ცნობილია, რომ ერთნაირ სეისმოლოგიურ უბნებზე განთავსებული სხვადასხვა ფერდობისა და გეოლოგიური სტრუქტურის მქონე ფუძე-გრუნტებზე განთავსებული ნაგებობები მიწისძვრის დროს ღებულობს სხვადასხვა რეაქციას, შესაბამისად უმნიშვნელოვანესია ნაგებობების დინამიკური მახასიათებლების ცოდნა სამშენებლო მოედანზე არსებული ფუძე-გრუნტების გათვალისწინებით.

როდესაც უცნობია „ნაგებობა-ფუძე-გრუნტი“ მოდელის მოდალური ანალიზის შედეგები: დომინანტური რხევების პერიოდები, ფორმები, მასათა განაწილება და სხვა, მაშინ უნდა ვისარგებლოთ მიახლოებითი მაჩვენებლებით, როგორც ფუძე-გრუნტებისათვის, ასევე დასაპროექტებელი შენობისათვის.

ფუძე-გრუნტების რეზონანსული რხევების პერიოდის განსაზღვრა შესაძლებელია შემდეგი ფორმულით [3.1]

$$T_{\text{რეზ, n}} = 4 * H / [V_S *(2n-1)] \qquad (3.1)$$

სადაც, $T_{\text{რეზ}}$ საკვლევ უბნზე გრუნტის რეზონანსული რხევების პერიოდია, წმ; H - ფენის (შრის) სიმძლავრე მ; V_S განივი სეისმური ტალღის გავრცელების სიჩქარე, მ/წმ; n - რხევის ფორმა. საკვლევი გრუნტისათვის შესაბამისად განივი სეისმური ტალღის სიჩქარე შეადგენს $V_S = 462\pm28$ მ/წმ.

$$T_{\text{რეზ, 1}} = 4 * 30 / [(462\pm28)*1] = 0.24504 \div 0.27632 \text{ წმ}$$

$$T_{\text{რეზ, 2}} = 4 * 30 / [(462\pm28)*3] = 0.08168 \div 0.09211 \text{ წმ}$$

ტექნიკური დავალების მიხედვით შენობა მიწისზევით 32 სართულიანია, ხოლო მიწისქვევით გააჩნია ორი სართული, ამიტომ დომინანტური რხევების პერიოდი მიიღება მიახლობითი ფორმულით

$$T_1 = (0.1 \div 0.125) \text{ x } N \qquad (4.2)$$

სადაც, T_1 - შენობის საკუთარი რხევების პირველი პერიოდია, წმ; N - შენობაში სართულშუა გადახურვების რიცხვი; $(0.1 \div 0.125)$ კოეფიციენტები აიღება გრუნტის არაწრფივი სეისმური თვისებების გათვალისწინებით. შესაბამისად

$$T_1 = (0.1 \div 0.125) \times 34 = 3.400 \div 4.250 \text{ წმ}$$

აქსელეროგრამების პაკეტის შერჩევა (მიწისძვრების ჩანაწერების დომინანტური პერიოდების მიხედვით) განხორციელდა გრუნტების რეზონანსული და შენობის საკუთარი რხევების პერიოდების აღნიშნულ სპექტრალურ ზოლში.

3.2 აქსელეროგრამების შერჩევა პაკეტისათვის და ნორმირება ერთეულ სიდიდეზე

საანგარიშო აქსელეროგრამების პაკეტის შერჩევისათვის გამოყენებულ იქნა, ინტერნეტის ქსელში მოძიებული რესურსები, კერძოდ - ბერკლის უნივერსიტეტის „Pacific Earthquake Engineering Research Center: NGA Database“, გაერთიანებული ევროპის პროექტის „Internet-Site for European Strong-Motion DataBase“ და იტალიური აქსელერომეტრიული არქივის - Italian Accelerometric Archive მონაცემთა ბანკში არსებული აქსელეროგრამები. ქვემოთ მოყვანილია ინტერნეტ საიტები სადაც შესაძლებელია ძლიერი მიწისძვრების ჩანაწერების მოძიება და შერჩევა.

International Strong Motion Databases:

Global databases: PEER Strong Motion Database, COSMOS Consortium of Organizations for Strong Motion Observation Systems, Center for Engineering Strong-Motion Data

National databases: Strong-Motion Sismograph Networks (K-NET, KiK-net) (Japan), Strong Motion Database of Turkey, ITalian Accelerometric Archive, Euroseistest database (Greece), Unified HEllenic Accelerogram Database (Greece), Swiss National Strong Motion Network, Institute of Engineering Seismology and Earthquake Engineering (Greece), Guerrero Accelerograph Network (Mexico), GeoNet (New Zealand).

კვლევების შედეგად მონაცემთა ბაზებიდან მოძიებულ იქნა ოცდასამი სამკომპონენტიანი ჩანაწერი.

საინჟინრო-სეისმომეტრული ინფორმაციის დამუშავების და გამოყენების სახელმძღვანელოებში და რეკომენდაციებში [3.2] დეტალურადაა აღწერილი სამუშაო მეთოდოლოგია და ამიტომ მათ აღწერას აქ არ მოვიყვანთ.

ავღნიშნავთ მხოლოდ აქსელეროგრამების ნორმირების პროცესს: სამკომპონენტიანი აქსელეროგრამების X და Y მდგენელების კვადრატები ჯამდება და მიღებული შედეგიდან ამოიღება კვადრატული ფესვი ($SQRT(X^2+Y^2)$). მიღებული შედეგებიდან იძებნება მაქსიმალური მნიშვნელობა და ამ სიდიდეზე იყოფა თითოეული ჩანაწერი (X, Y, Z მდგენელები).

მშენებარე მრავალსართულიანი შენობებისათვის, ტერიტორიის საინჟინრო-სეისმოლოგიური პარამეტრებისა და შენობების დინამიკური მახასიათებლების გათვალისწინებით, შერჩეულ იქნა შემდეგი აქსელეროგრამები:

- 1978 წლის 20 ივნისის „Volvi“-ს მიწისძვრის ერთი სამკომპონენტიანი ჩანაწერი;
- 1987 წლის 10 ივნისის „Kalamata“-ს მიწისძვრის სამკომპონენტიანი ჩანაწერი;
- 1980 წლის 23 ნოემბრის „Campano Lucano“-ს მიწისძვრის სამკომპონენტიანი ჩანაწერი;
- 1990 წლის 5 მაისის „Potenza“-ს მიწისძვრის სამკომპონენტიანი ჩანაწერი;
- 1979 წლის 15 აპრილის „Montenegro“-ს მიწისძვრის სამკომპონენტიანი ჩანაწერი;
- 1977 წლის 4 მარტის „Bucharest“-ის ერთი სამკომპონენტიანი ჩანაწერი;
- 2002 წლის 25 აპრილის „Tbilisi“-ს მიწისძვრის სამკომპონენტიანი ჩანაწერი.

ქვევით ნახ. 3.4-3.5 მოყვანილია ზოგიერთი მიწისძვრის ჩანაწერი და შესაბამისი სპექტრები, ხოლო 3.6-3.12-ზე შერჩეული აქსელეროგრამების ნორმირებული ჩანაწერები და სპექტრები.

გაანგარიშების დროს, ნორმირებული აქსელეროგრამები უნდა გამრავლდეს საანგარიშო აჩქარების მნიშვნელობაზე - **0.158 g ≈ 1.550** მ/წმ^2.

აღნიშნული აქსელეროგრამების ორიგინალური და ნორმირებული ჩანაწერები ციფრული სახით მოცემულია ელექტრონულ ვერსიაში (CD დისკზე), რომელიც თანერთვის წინამდებარე ანგარიშს.



ნახ. 3.4. 1980 წლის 23 ნოემბრის „Campano Lucano“-ს მიწისძვრის ჩანაწერები და შესაბამისი სპექტრები.



ნახ. 3.5. 1979 წლის 15 აპრილის „Montenegro“-ს მიწისძვრის ჩანაწერები და შესაბამისი სპექტრები.

ა)



ბ)



ნახ. 3.6. 1978 წლის 20 ივნისის „Volvi“-ს მიწისძვრის ჩანაწერის:

ა) ნორმირებული ჩანაწერები (X, Y); ბ) ნორმირებული სპექტრები (X, Y).

ა)



ბ)



ნახ. 3.7. 1987 წლის 10 ივნისის „Kalamata“-ს მიწისძვრის ჩანაწერის:

ა) ნორმირებული ჩანაწერები (X, Y); ბ) ნორმირებული სპექტრები (X, Y).

ა)



ბ)



ნახ. 3.8. 1980 წლის 23 ნოემბრის „Campano Lucano“-ს მიწისძვრის ჩანაწერის:

ა) ნორმირებული ჩანაწერები (X, Y); ბ) ნორმირებული სპექტრები (X, Y).

ა)



ბ)



ნახ. 3.9. 1990 წლის 5 მაისის „Potenza“-ს მიწისძვრის ჩანაწერის:

ა) ნორმირებული ჩანაწერები (X, Y); ბ) ნორმირებული სპექტრები (X, Y).

ა)



ბ)



ნახ. 3.10. 1979 წლის 15 აპრილის „Montenegro“-ს მიწისძვრის ჩანაწერის:

ა) ნორმირებული ჩანაწერები (X, Y); ბ) ნორმირებული სპექტრები (X, Y).

ა)



ბ)



ნახ. 3.11. 1977 წლის 4 მარტის „Bucharest“-ის მიწისძვრის ჩანაწერის:

ა) ნორმირებული ჩანაწერები (X, Y); ბ) ნორმირებული სპექტრები (X, Y).

ა)



ბ)



ნახ. 3.12. 2002 წლის 25 აპრილის „Tbilisi“-ს მიწისძვრის ჩანაწერის:

ა) ნორმირებული ჩანაწერები (X, Y); ბ) ნორმირებული სპექტრები (X, Y).

4. დრეკადი და საანგარიშო სპექტრების აგება

სეისმურ რაიონებში შენობა-ნაგებობების დაპროექტებისას ერთერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს მათთვის დრეკადი და საანგარიშო სპექტრების აგება. სეისმომედეგობის შეფასება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალების თანახმად, ხორციელდება საქართველოში დღეისათვის მოქმედი ნორმატიული დოკუმენტის პნ 01.01-09-ის მოთხოვნების შესაბამისად სამშენებლო ტერიტორიის ადგილობრივი საინჟინრო სეისმოლოგიური პარამეტრების გათვალისწინებით.

აქსელეროგრამების 5%-იანი რეაქციის სპექტრების კრებული წარმოდგენილია ნახაზ 4.1-ზე. იმავე ნახაზზე შედარების მიზნით მოყვანილია აგრეთვე უკრაინული ДБН В.2.2-24:2009 [4.1] და რუსული МГСН 4.19-05 [4.2] რეაქციის სპექტრების გრაფიკები, რომლებიც აგებულია მაღლივი შენობების დაპროექტებისა და სეისმომედეგობის მოთხოვნების გათვალისწინებით.

აქსელეროგრამების მომვლები მრუდი სრულად მოიცავს საანგარიშო აქსელეროგრამებს და კარგად შეესაბამება მეზობელი ქვეყნების მაღლივი შენობების სეისმომედეგი დაპროექტების მოთხოვნებს.

ნორმირებული აქსელეროგრამების მომვლები გრაფიკის თეორიული აღწერა მოყვანილია ქვევით:

$$
\begin{aligned}
&0.0 \le T_i \le 0.5 \text{ წმ} && S_a = 0.48 + 1.92 * T_i, \\
&0.5 \le T_i \le 2.60 \text{ წმ} && S_a = 1.44, \\
&2.60 \text{ წმ} \le T_i && S_a = 3.456 / T_i^{\wedge 0.91}
\end{aligned}
\qquad (4.1)
$$

საანგარიშო რეაქციის სპექტრის მისაღებად (4.1) ფორმულაში მოყვანილი სიდიდეები უნდა გამრავლდეს 0.120 g-ზე (1.177 მ/წმ^2). ე.ი.

საანგარიშო რეაქციის სპექტრი გამოითვლება ფორმულით:

$$
\begin{aligned}
&0.0 \le T_i \le 0.5 \text{ წმ} && S_a = 0.744 + 2.976 * T_i && \text{მ/წმ}^2 \\
&0.5 \le T_i \le 2.60 \text{ წმ} && S_a = 2.232 && \text{მ/წმ}^2 \\
&2.60 \text{ წმ} \le T_i && S_a = 5.3568 / T_{i,}^{\wedge 0.91} && \text{მ/წმ}^2
\end{aligned}
\qquad (4.2)
$$

ხოლო, შესაბამისი მრუდი მოყვანილია ნახ. 4.2-ზე. საანგარიშო სპექტრის ვერტიკალური მდგენელი მიიღება ჰორიზონტალურის გამრავლებით 0.7 კოეფიციენტზე.



ნახ. 4.1. ნორმირებული 5%-იანი რეაქციის სპექტრების კრებული.



ნახ.4.2. საანგარიშო ჰორიზონტალური რეაქციის სპექტრი.

5. აქსელეროგრამებისა და რეაქციის სპექტრების ციფრული პაკეტის გადაყვანა პროგრამა „Lira SAPR“ ფორმატში

სამშენებლო საანგარიშო პროგრამული კომპლექსი „Lira Windows“ ითვალისწინებს გაანგარიშებას აქსელეროგრამებზე და საანგარიშო რეაქციის სპექტრზე.

აქსელეროგრამების შესატანად ვსარგებლობთ დატვირთვების მენიუში, დინამიკური დატვირთვების ცხრილში #27 ან #29 ბლოკებით (ნიმუში იხ. ნახ. 5.1 ა, ბ). მაშტაბირების კოეფიციენტი აიღება - 0.158 g ≈ 1.550 მ/წმ^2.

კოსინუსის მიმართულებების შერჩევა დამოკიდებულია შენობა-გრუნტის მოდალური ანალიზის შედეგებზე და მისი შერჩევა პროექტის კონსტრუქტორების პრეროგატივაა. აქსელეროგრამების დისკრეტიზაციის ბიჯი ყველა ჩანაწერისათვის შეადგენს 0.01 წმ-ს გარდა ჩანაწერებისა: Tbilisi (1/128=0.0078125 წმ) და Volvi (0.02 წმ). აქსელეროგრამების ხანგრძლივობა პროგრამა ლირაში შესატანია შემდეგი მნიშვნელობებით: Potenza #000944 – 45.99 წმ; Kalamata #001915 – 18.30 წმ; Montenegro #000199 – 47.81 წმ; Campano Lucano #000297 – 59.73 წმ; Volvi #005671 – 22.68 წმ; Bucharest #006898 – 43.42 წმ; Tbilisi - 43.40625 წმ.

აქსელეროგრამების ატვირთვა უნდა მოხდეს შესაბამისი სახელწოდების ფაილების მიხედვით, რომლებიც უნდა განთავსდეს შესაბამის (მაგ. C:\Users\Public\Documents\LIRA SAPR\LIRA SAPR 2016\Data) დირექტორიაში.

საანგარიშო სპექტრის პროგრამაში შესატანად ვსარგებლობთ დატვირთვების მენიუში, დინამიკური დატვირთვების ცხრილში #41 ბლოკით (ნიმუში იხ. ნახ. 5.2). მაშტაბირების კოეფიციენტი აიღება 1-ის ტოლი (მ/წმ^2). კოსინუსის მიმართულებების შერჩევა დამოკიდებულია შენობა-გრუნტის მოდალური ანალიზის შედეგებზე და მისი შერჩევა პროექტის კონსტრუქტორების პრეროგატივაა. საანგარიშო სპექტრის ფაილი უნდა განთავსდეს C:\Users\Public\Documents\LIRA SAPR\LIRA SAPR 2016\Data დირექტორიაში და ფაილის გაფართოება უნდა იყოს txt ფორმატში.

ა)



ბ)



ნახ. 5.1. აქსელეროგრამებზე გაანგარიშებისათვის პროგრამა LIRA SAPR 2016-ში: ა) ბლოკი 27; ბ) ბლოკი 29.



ნახ. 5.2. საანგარიშო რეაქციის სპექტრით გაანგარიშებისათვის პროგრამა LIRA SAPR 2016-ში შესატანი კომპონენტები.

დასკვნები და რეკომენდაციები

- ექსპერიმენტული კვლევებით მიღებულია ფუძე-გრუნტების სეისმური პროფილები, ძირითადი სიჩქარული და დინამიკური მახასიათებლები, რომლებიც მოყვანილია სურ. 1.17-1.9-ზე და ცხრილ 1.1-1.3-ში.
- აკუსტიკური სიხისტეების მეთოდით სამშენებლო ტერიტორიაზე ანგარიშით მიღებული ბალიანობის ნაზრდმა შეადგინა: ეტალონური ბალიანობა 7-ისათვის $\Delta I = 0.807261 \pm 0.054781$ (1 ბალი), ხოლო ეტალონური ბალიანობა 8-ისათვის $\Delta I = (-0.162793 \pm 0.054781)$ (0 ბალი), ესეიგი დაზუსტებული ბალიანობის მნიშვნელობა და შესაბამისად საანგარიშო სეისმურობა სამშენებლო მოედნისათვის შეადგენს I = 8 ბალს.
- საანგარიშო ჰორიზონტალური აჩქარების დაზუსტებული მნიშვნელობა შეადგენს 0.158 g-ს (1.550 მ/წმ^2).
- აქსელეროგრამების პაკეტის შერჩევისას მოძიებულ იქნა შვიდი სამ კომპონენტიანი აქსელეროგრამა: 1978 წლის 20 ივნისის „Volvi“-ს მიწისძვრის ერთი სამკომპონენტიანი ჩანაწერი; 1987 წლის 10 ივნისის „Kalamata“-ს მიწისძვრის სამკომპონენტიანი ჩანაწერი; 1980 წლის 23 ნოემბრის „Campano Lucano“-ს მიწისძვრის სამკომპონენტიანი ჩანაწერი; 1990 წლის 5 მაისის „Potenza“-ს მიწისძვრის სამკომპონენტიანი ჩანაწერი; 1979 წლის 15 აპრილის „Montenegro“-ს მიწისძვრის სამკომპონენტიანი ჩანაწერი; 1977 წლის 4 მარტის „Bucharest“-ის ერთი სამკომპონენტიანი ჩანაწერი; 2002 წლის 25 აპრილის „Tbilisi“-ს მიწისძვრის სამკომპონენტიანი ჩანაწერი.
- აქსელეროგრამების ორიგინალური და ნორმირებული ჩანაწერები ციფრული სახით წამოდგენილია CD დისკზე. შენობების გაანგარიშების დროს, ნორმირებული აქსელეროგრამები უნდა გამრავლდეს საანგარიშო აჩქარების მნიშვნელობაზე, რომელიც შეადგენს - 0.158 g ≈ 1.550 მ/წმ^2.
- საანგარიშო ჰორიზონტალური რეაქციის სპექტრი წარმოდგენილია ნახ. 4.2-ზე და გამოითვლება 4.2. ფორმულით, ხოლო სპექტრის ვერტიკალური მდგენელი მიიღება ჰორიზონტალური სპექტრის გამრავლებით 0.7 კოეფიციენტზე.

გამოყენებული ლიტერატურა

თავი 1

1.1. RAS-24 Exploration Seismograph (User Manuals).

1.2. «Методические рекомендации по определению состава, состояния и свойств грунтов сейсмоакустическими методами», М-1985г.

1.3. Горяинов Н.Н. Применение Сейсмоакустических Методов в Гидрогеологии и Инженерной Геологии. М–1992г.

თავი 2

2.1 შ.პ.ს. „თბილინვესპროექტი“-ს საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ტექნიკური ანგარიში: „ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. #34, ნაკვ. # 01.14.03.040.220-ში მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის პროექტი. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ტექნიკური ანგარიში“, თბილისი 2021

2.2 კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის და სეისმომედეგობის ინსტიტუტის 1974 წლის სამეცნიერო-ტექნიკური ანგარიში თემაზე: „ქ.თბილისის ტერიტორიის სეისმური მიკროდარაიონება“.

2.3 РСМ-73. Рекомендации по сейсмическому микрорайонированию. ИФЗ АН СССР, 1974.

2.4 РСН 60-86. Инжинерные изыскания для строительства. Сейсмическое микрорайонирование. Нормы производства работ. 1986.

2.5 РСН 65-86. Инжинерные изыскания для строительства. Сейсмическое микрорайонирование. Технические требования к производству работ. 1987.

2.6 სამშენებლო პროექტირების ნორმა პნ 01.01-09 „სეისმომედეგი მშენებლობა“.

2.7 EN 1998-5. 2004. Eurocode 8: Design of structures for earthquake resistance – Part 5: Foundations, retaining structures and geotechnical aspects.

თავი 3

3.1 РБ - 006 – 98. ОПРЕДЕЛЕНИЕ ИСХОДНЫХ СЕЙСМИЧЕСКИХ КОЛЕБАНИЙ ГРУНТА ДЛЯ ПРОЕКТНЫХ ОСНОВ.

3.2 Руководство по сбору, обработке и использованию инженерно-сейсмометрической информации. ЦНИИСК им. В.А. Кучеренко – 1980.

თავი 4

4.1 ДБН В.2.2-24:2009. ПРОЕКТУВАННЯ ВИСОТНИХ ЖИТЛОВИХ І ГРОМАДСЬКИХ БУДИНКІВ. Київ, Мінрегіонбуд України, 2009.

4.2 МГСН 4.19-05. МНОГОФУНКЦИОНАЛЬНЫЕ ВЫСОТНЫЕ ЗДАНИЯ И КОМПЛЕКСЫ (приложения) ТОМ II. Москва, 2005.

საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე „ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №34, მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთის (ს/კ 01.14.03.040.220) საინჟინრო გეოლოგიური კვლევების ტექნიკური ანგარიში“.

შპს „იქსორი“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2021 წლის ივნისში შემოწმებული იქნა ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №34, მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.03.040.220) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №34, მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.03.040.220) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შპს „თბილინვესტპროექტი“-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2021 წლის მაისში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი, ინჟინერ-გეოლოგი, გეოლოგიის მაგისტრი გ. სადრაძე. მათ გეოტექნიკურ ლაბორატორიაში არის შესრულებული გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გამოკვლევები.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 11 გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1 გვ.
3. გრუნტების ლაბორატორიული კვლევის შედეგები---------- 25 ფურც.
4. გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზები---------- 3 ფურც.
5. სტატისტიკური დამუშავების შედეგები---------- 4 ფურც.
6. მოედნის ტოპოგეგმა---------- 1 ფურც.
7. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები---------- 10 ფურც.
8. მოედნის გეოლოგიური ჭრილი---------- 4 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 36 სართულიანი შენობა, სარდაფის ორი სართულით, ზომებით გეგმაში (41.9×18.2)მ. შენობა კონსტრუქციულად გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება აგურით ან ბეტონის წვრილი ბლოკებით. რაც შეეხება საძირკველს, მისი კონსტრუქცია და ჩაღრმავება გადაწყდება მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ.

დასაპროექტებელი ნაგებობის დაფუძნების პირობების გამოსაკვლევად, ანგარიშში გამოყენებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევები „ქ, თბილისის ტერიტორიის საინჟინრო გეოდინამიკური პირობები და გეოლოგიური საფრთხეების შეფასება“, გ. ჯაფარიძის „თბილისის საინჟინრო გეოლოგია“, შ.პ.ს. „თბილინვესტპროექტი“-ს მიერ 2017 წლის სექტემბერში ახლო მდებარე ნაკვეთზე №01.14.03.040.382-ში ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევების მასალები. შესწავლილია და გაანალიზებულია ნაშრომების ის ნაწილი, რომელიც საკვლევ უბანს ეხება. ასევე მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე გაყვანილი იქნა 10 ჭაბურღილი, საერთო სიღრმით 261.0 გრძ/მ. ჭაბურღილებიდან აღებული იქნა ნიმუშები გრუნტის თვისებების

დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული საველე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე მოცემულია საკვლევი ტერიტორიის გეოლოგიური ჭრილი:

1. ფენა 1 – ნაყარი გრუნტი;
2. ფენა 2 – თიხნარი, ძნელპლასტიური კონსისტენციის;
3. ფენა 3 – ქვიშნარი, ღორღის ჩანართებით, ქვიშის ლინზებით;
4. ფენა 4 – ღორღოვანი გრუნტი, თიხის შემავსებლით 30%-მდე;
5. ფენა 5 – თიხა, ღორღის ჩანართებით, ნახევრადმყარი კონსისტენციის;
6. ფენა 6 – ქვიშაქვებისა და არგილითების მორიგეობა, ძლიერ გამოფიტული;
7. ფენა 7 – ქვიშაქვებისა და არგილითების მორიგეობა, სუსტად გამოფიტული.

ანგარიშში მოცემულია საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობები. მოედნის სულ ზედა ფენა ნაყარი გრუნტია. იგი არ გამოდგება შენობის ფუძედ და ამიტომ მისი თვისებები არ არის გამოკვლეული. ანგარიშში მოცემულია ზემოაღნიშნული ქანების დეტალური საინჟინრო გეოლოგიური დახასიათება და მათი ნორმატიული და საანგარიშო მაჩვენებლები. როგორც ავტორი აღნიშნავს უარყოფითი გეოლოგიური პროცესების (მეწყერი, ზვავი, სუფოზია, კარსტი და სხვა) განვითარება ტერიტორიაზე არ არის მოსალოდნელი, ამ თვალსაზრისით ტერიტორია მდგრადია.

ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ საკვლევ მოედანზე დაფიქსირებულია გრუნტის წყლების სამი ჰორიზონტი. პირველი ჰორიზონტი დაფიქსირდა ქვაბულის ძირიდან 1.0 მ სიღრმეზე ნაყარ გრუნტში, მეორე ჰორიზონტი დაფიქსირდა მიწის ზედაპირიდან 6.5 მ სიღრმეზე, ხოლო მესამე ჰორიზონტი დაფიქსირდა ღორღოვან გრუნტში 15.0 მ სიღრმეზე. წყალი იჩენს სხვადასხვა ინტენსივობის აგრესიას სხვადასხვა ცემენტზე დამზადებული ბეტონის ნაეთობების მიმართ.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №34, მრავალფუნქციური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.14.03.040.220) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები, აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/

CV
გ უ გ ა ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე

კეკელიძის ქ. №43, ბინა 36

ტელ. 222-00-44

მობ. 599-50-72-21

ოჯახური მდგომარეობა: დაოჯახებული, შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები.

დაბადების თარიღი: 1928 წლის 16 თებერვალი, ქ. თბილისი

კვალიფიკაცია: ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი. პროფესორი
პროფ. ატესტატის ПР №001215 1975цю
დოქტორის დიპლომის МТН №007499 20.04.1974წ.

პედაგოგიური აქტივობა: სალექციო კურსები: 1. გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები;
2. ქალაქის საინჟინრო ნაგებობები;
3. საინჟინრო გეოლოგია;

განათლება საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა (1950წ);
ს.პ.ი. – ჰიდროლოგია და საინჟინრო გეოლოგია (1963წ);
საქ. ჰიდროტექნ. და მელიორაციის კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტი (1950-1954წ);

თანამდებობები 1954-1982წ. საქ. მეცნ. აკადემიის ჰიდროლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ–თანამშრომელი; 1974 წლიდან დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში;
1982წ. საქ. ტექნ. უნივერსიტეტის გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების კათედრის გამგე – დღემდე.

1983 წლიდან შეთავსებით მუშაობს ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტში მთავარ მეცნიერ თანამშრომლად.

სამეცნიერო მოღვაწეობა: გამოქვეყნებული აქვს 102 სამეცნიერო შრომა, 2 გამოგონება, აქვს სახელმძღვანელო გრუნტების მექანიკასა და ფუძე-საძირკვლებში (2002), გამოშვებული აქვს მონოგრაფია „საქართველოს ლიოსები“ 1996წ.. გ. ჭოხონელიძის ხელმძღვანელობით საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა ათმა მაძიებელმა; 1995 წ. არჩეულია საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილ წევრად;
2008 წელს სამეცნიერო მოღვაწეობაში დიდი წვლილისათვის დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

ზოგიერთი გამოქვეყნებული შრომა

1. გ. ჭოხონელიძე, ლ. ცერცვაძე საქართველოს ლიოსისებური გრუნტები, თბილისი 1997წ.
2. გ. ჭოხონელიძე, დ. კვაჭაძე გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები – სახელმღვანელო. თბილისი 2005წ.
3. გ. ჭოხონელიძე, ვ. ვაჭარაძე გრუნტების მექანიკა – სახელმძღვანელო; თბილისი 1994წ.
4. გ. ჭოხონელიძე. ქ. თბილისში თემქის დასახლების IV მიკრორორაიონის ტერიტორიაზე განვითარებული მეწყერული პროცესის გამოკვლევა, თბილისი, ჰიდროლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის შრომები, XIV ტომი 2008წ.
5. გ. ჭოხონელიძე. ქ. თბილისში არგილიტებისა და ქვიშაქვების მორიგეობის მზიდუნარიანობის განსაზღვრის მეთოდის შესახებ. თბილისი, ჰიდროლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის შრომები, XIV ტომი 2008წ.
6. გ. ჭოხონელიძე. საინჟინრო ნაგებობები – სახელმძღვანელო. გამომცემლობა „ლეთა“. 1912წ.

ДИПЛОМ
ДОКТОРА НАУК

МТН № 007499

Москва 23 декабря 1975 г.

Решением
Высшей Аттестационной Комиссии
от 28 ноября 1975 г. (протокол № 18)

Чохонелидзе Гуго Ильичу

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ ДОКТОРА
ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель Высшей
Аттестационной Комиссии

Ученый Секретарь Высшей
Аттестационной Комиссии

АТТЕСТАТ
ПРОФЕССОРА

ПР № 005702

Москва

Решением
Высшей аттестационной комиссии
при Совете Министров СССР

от 23 ноября 1979 г. (протокол № 37)

Чохонелидзе Гуге Ильичу

ПРИСВОЕНО УЧЕНОЕ ЗВАНИЕ

ПРОФЕССОРА

ПО КАФЕДРЕ

гидрогеологии и инженерной геологии

Председатель
Высшей аттестационной комиссии

Главный ученый секретарь
Высшей аттестационной комиссии

დიპლომი

Я № 168160

ეს დიპლომი მიეცა გურამ ილიას ძე ჭოხონელიძეს

მასზედ, რომ იგი 1961 წელს შევიდა ვ.ი. ლენინის სახ. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და 1972 წელს დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის

სპეციალობით ჰიდროგეოლოგია და საინჟინრო გეოლოგია

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1972 წ. 30 ივნისის დადგენილებით გ.ი. ჭოხონელიძეს მიენიჭა სამთო ინჟინერ-ჰიდროგეოლოგის კვალიფიკაცია

ქალაქი თბილისი 1973 წ. „2" აპრილი

სარეგისტრაციო № ГЕ-205

საქართველოს რესპუბლიკა
მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 01026010539

სახელი გუგა

გვარი ჭოხონელიძე

დაბადების თარიღი 16.02.192[illegible] წ.

დაბადების ადგილი თბილისი

№ ღ 0266413.

თბილისის საბურთალოს
რაიონის შ.ს. მეორე განყოფილება

29.09.2000 წ.